



სს ნიუ ვიქენ დაზღვევა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

თბილისი, 2020 წელი

1. პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა და მიზანი

1.1. სს „ნიუ ვიქენ დაგლვევა“-ს (შემდგომში – სადაგლვევო კომპანია/მზღვეველი) პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (შემდგომში – პოლიტიკა) ეხება ყველა იმ ფიზიკურ პირს (მათ შორის დაგლვევულები/მომხმარებლები, კონტრაქტორები, დასაქმებულები და სხვები, შემდგომში – მონაცემთა სუბიექტი), რომელთა შესახებ სადაგლვევო კომპანია ახორციელებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

1.2. სადაგლვევო კომპანიისთვის მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების დაცვა და ამ ვალდებულებას განიხილავს, როგორც მხარეთა შორის კეთილსინდისიერი და სანდო თანამშრომლობის საფუძველს.

1.3. სადაგლვევო კომპანიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვა ხორციელდება მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. პერსონალური მონაცემები და მისი დამუშავება

2.1. პერსონალური მონაცემია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებას ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ სხვა მახასიათებლებთან ერთად ერთობლიობაში, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

2.2. სადაგლვევო კომპანია ახორციელებს რამდენიმე კატეგორიის პერსონალური მონაცემის შეგროვებას და დამუშავებას: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, სქესი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია, ნომერი, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, დოკუმენტის გაცემის ქვეყანა, ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი, ძველფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი; ოჯახური მდგომარეობა, საქმიანობა, სამუშაო ადგილი, პროფესია, თანამდებობა, საბანკო ანგარიშის ნომერი, ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ინფორმაცია დასაგლვევი/დაგლვეული ობიექტის შესახებ, ვიდეოგამოსახულება, სხვა ის ინფორმაცია, რომელიც იძლევა პირის იდენტიფიცირების საშუალებას და საჭიროა მზღვეველთან ხელშეკრულების დადების ან/და მზღვეველის მიერ მომსახურების განვივის მიზნებისთვის.

2.3. მონაცემთა დამუშავება არის ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩანერა, ფოტოზე აღებჭღვა, აუდიოჩანერა, ვიდეოჩანერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამუქავება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების

ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

2.4. სადაზღვევო კომპანიაში მონაცემები ძირითადად მუშავდება: სადაზღვევო ხელშეკრულებების დადების, სადაზღვევო მომსახურების განვების, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების, მომხმარებელთა განცხადებების განხილვის, სხვადასხვა სახელშეკრულებო ურთიერთობების შესრულების, დასაქმების, პირდაპირი მარკეტინგის, სადაზღვევო კომპანიის კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით;

2.5. მონაცემთა დამუშავება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც:

- არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;
- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სადაზღვევო კომპანიის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მფლობელის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ალმატებული ინტერესი;
- მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია;
- მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა თავად მონაცემთა სუბიექტმა;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე მისთვის მომსახურების განვების მიზნით;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

2.6. მონაცემთა სუბიექტი თანხმობას გამოხატავს ზეპირად, წერილობით, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული წესით, რომლითაც შესაძლებელია დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება.

2.7. სადაზღვევო კომპანიაშ შესაძლებელია დაამუშაოს მონაცემები მომსახურების საჭიროებიდან გამომდინარე ან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში სხვა მონაცემთა დამმუშავებლის დახმარებით და მასთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სადაზღვევო კომპანიაში დადგენილ სტანდარტებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

3. პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები

3.1. მონაცემთა დამუშავება ხორციელდება შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

3.1.1. მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით და მისი ღირსების შეულახავად;

3.1.2. მონაცემები მუშავდება კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის;

3.1.3. მონაცემები შეინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად;

3.1.4. მონაცემების დამუშავება მიზნის აღდგენის და პროცესირების;

3.1.5. მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად;

3.1.6. მონაცემები ნამდვილი და გუსტია, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება განახლებას.

3.2 დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს.

3.3 იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იყოს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. მონაცემთა შეგროვება და ჩანერა

4.1 მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხორციელდება:

ა) როდესაც ივსება სადაზღვევო კომპანიის მიერ მიერ დადგენილი სხვადასხვა განცხადების ფორმები;

ბ) თანამშრომლებთან/კონტრაქტორებთან პირადი და სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით ურთიერთობისას;

გ) ინტერნეტის და სხვა ელექტრონული აპლიკაციების თუ საშუალებების გამოყენებისა და ამ დროს შესაბამისი ტრანზაქციების თუ მოქმედებების განხორციელებისას;

დ) შრომითი ურთიერთობების დამყარების მიზნით სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით ურთიერთობისას;

ე) სადაზღვევო კომპანიასთან ხელშეკრულების დადებისას;

ვ) სადაზღვევო კომპანიის მხრიდან მონაცემთა სუბიექტის შესახებ კანონიერი გზებით მესამე პირებისგან ინფორმაციის მოძიებისას;

ზ) სადაზღვევო კომპანიის ტერიტორიაზე (როგორც შენობაში, ასევე შენობის პერიმეტრზე) ფოტო, ვიდეო, აუდიო ჩანაწერების წარმოებისას;

თ) ყველა სხვა კანონიერი საშუალებით მონაცემთა სუბიექტის მხრიდან სადაზღვევო კომპანიისათვის მონაცემის გადაცემისას.

4.2 თუ მონაცემთა სუბიექტი სადაზღვევო კომპანიას აწვდის ინფორმაციას მესამე პირების (მათ შორის მაგ.: ოჯახის წევრების შესახებ) შესახებ, მონაცემთა სუბიექტი ადასტურებს, რომ

მოკოვებული აქვს სრული ნებაართვა და იღებს პასუხისმგებლობას მფლვეველის მხრიდან აღნიშნული მონაცემების დამუშავებაზე.

4.3 მონაცემების ჩანერა შეიძლება განხორციელდეს ხელით, ე.წ. მატერიალური ან სხვადასხვა ელექტრონული საშუალებებით.

5. პირდაპირი მარკეტინგი

5.1 სადაზღვევო კომპანიას მონაცემთა სუბიექტი ანიჭებს უფლებამოსილებას სხვადასხვა მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, მონაცემთა სუბიექტის საბელეფონო გარის, ელექტრონული ფოსტის, სხვა საბელეფონო საშუალებებით ან მომხმარებელთა უშუალო კომუნიკაციით განახორციელოს მომსახურების, საქონლის, დასაქმების შეთავაზება ან რაიმე სახის ქმედების განხორციელების თხოვნა.

5.2 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამუშავებელს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა, თავის მხრივ სადაზღვევო კომპანიას ვალდებულება შეწყვიტოს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავება ან/და უზრუნველყოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

6. ვიდეთვალთვალი და აუდიო ჩანერა

6.1. აუდიო და ვიდეთ ჩანერა ხორციელდება სადაზღვევო კომპანიის და მისი მომხმარებლების, თანამშრომლების საკუთრების უფლების დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების, მართლწესრიგის დაცვის, საზოგადოებრივი უშიშროების და მომსახურების განვების მიზნით. სადაზღვევო კომპანიაში მიმდინარეობს შენობის გარე კერიმეტრისა და შესასვლელების, სამუშაო ადგილების მონიტორინგი ვიდეთვალთვალისა და აუდიო ჩანერა სისტემების მეშვეობით.

6.2. მონაცემთა სუბიექტების საყურადღებოდ აუდიო და ვიდეთ ჩანერასთან დაკავშირებით მფლვეველი თვალსაჩინო ადგილას განათავსებს გამაფრთხილებელ ნიშნებს.

6.3 აუცილებლობის შემთხვევაში, აუდიო და ვიდეთ ჩანერა შეიძლება განხორციელდეს მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნებისთვისაც, რის შესახებაც მომხმარებელი წინასწარ იქნება ინფორმირებული.

7. პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა

7.1 სადაზღვევო კომპანიამ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები შესაძლოა მესამე პირებს გადასცეს შემდეგი მიზნებისათვის: მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი მომსახურებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების

შესრულების მიზნით, სხვა პირებთან, სახელმწიფო ორგანიზაციებთან, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სადაზღვევო კომპანიის მიერ, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის. პერსონალური მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემის უფლებამოსილება მფლვეველს გააჩნია კანონმდებლობით ან მონაცემთა სუბიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან/თანხმობიდან გამომდინარე.

7.2. პერსონალური მონაცემების გადაცემა მესამე პირებისთვის ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. მონაცემთა დამუშავება უფლებამოსილი პირის მეშვეობით

8.1 გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია სადაზღვევო კომპანიისათვის მონაცემების დამუშავება ხდებოდეს უფლებამოსილი პირის მიერ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მფლვეველს გაფორმებული აქვს უფლებამოსილ პირთან შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმებამდე სადაზღვევო კომპანია ყოველთვის წინასწარ რწმუნდება მხარის სანდოობაში და ხელშეკრულებით ითვალისწინებს უფლებამოსილი პირის ვალდებულებას, მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დაცვას.

9. მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ვალდებულებები

9.1. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია გამოითხოვოს სადაზღვევო კომპანიიდან ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა მფლვეველი უზრუნველყოფს შემდეგი ინფორმაციის მიწოდებას:

- რომელი კატეგორიის მონაცემები მუშავდება მის შესახებ;
- რა მიზნით მუშავდება მონაცემები;
- რა სამართლებრივი საფუძვლით მუშავდება მონაცემები;
- რა გზით შეგროვდა პერსონალური მონაცემები;
- გაცემულა თუ არა მისი მონაცემები მესამე პირზე, ვისზე გაიცა – მონაცემთა გაცემის საფუძვლი და მიზანი.

9.2. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს სადაზღვევო კომპანიას და იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის სანიშნაობადაც, მოსთხოვოს მისი პერსონალური მონაცემების გასწორება, დაბლოკვა, განახლება, დამატება, წაშლა, ან განადგურება. ასეთ დროს მფლვეველი შესაბამის რეაგირებას ახდენს შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

9.3. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე, გამოიხმოს (მოითხოვოს მონაცემების დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებული მონაცემების

განადგურება) მის მიერ სადაზღვევო კომპანიისთვის გაცხადებული თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

10. მონაცემთა უსაფრთხოება და თანამშრომლების პასუხისმგებლობა

10.1 სადაზღვევო კომპანია იღებს ყველა ისეთ გონივრულ ორგანიზაციულ და ტექნიკური ზომას, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გაჟღავნებისაგან, მოკოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისგან.

10.2. მზღვეველის ნებისმიერი თანამშრომელი მკაცრად იცავს კონფიდენციალობის და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპებს, ასევე თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

11. დასკვნითი დებულებები და საკონტაქტო ინფორმაცია

11.1. წინამდებარე დოკუმენტში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილებების და დამატებების შეტანა, რაც აისახება ამ დოკუმენტში და გამოქვეყნდება ელექტრონულ მისამართზე: www.nvi.ge.

11.2. სს „ნიუ ვიქენ დაზღვევა“-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: personaldata@nvi.ge, ცხელის ხაზის ნომერზე: (+995 32) 2 501 501 ან მობრძანდეთ მისამართზე: ქ. თბილისი, ევ. მიქელაძის ქ. N1ბ.

წინამდებარე პოლიტიკა დამტკიცებულია სს „ნიუ ვიქენ დაზღვევა“-ს გენერალური დირექტორის 2020 წლის 06 აპრილის N NVI/ST-001P/20 ბრძანებით.